

შინაური საქმეები.

№ 35.

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

უძველესი-კვირეული გაზეთი

კვირა, 14 ოქტომბერი 1912 წელი

უძველესი-კვირეული გაზეთი

შინაური საქმეები

სხლას მარჯონა მიადეცა (რე-
დაქვანო, ქ. ქუთაისში სა-
ბურთალო—კახაილის მე-
სახეობა № 17). და თბილისში გამოდგენილან სოფლის ბაზარში, ხომინახნის შუქს
მდაზიანო. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წდაურა ფასი:	სახ. წლით:	სამხ თვით:	ქითი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულს შებოტან. წილურ ბელის მომწვეთითვის შეიძლება ასე განაწილდეს: თვიურად 2 მ. და 1 იანის 2 მ.
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრეტო სტრიქონი-ორი შაური. უკანასკნელზე 7 კ.
ადრესა: ქუთაისი: „მანკურა საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. გზა ქრისტესი—მღვ. იოანე ლუკიანოვისა; 2. საეკლესიო შკოლების სფეროში—ხელისა; 3. ლო-
თობა მღ. კ. ანთაძისა; 4. კრიტიკა. ეკატერინე გაბაშვი-
ლისა—ხომელისა; 5. შეუგნებელი ჟინიანობა და გაუ-
ბედლობა მღ. ბ. ვაშაძისა. 6. მოგონებანი გაბრიელ
ეპისკოპოსის ცხოვრებიდან—მღ. ვ. მაჭარაშვილისა;
7. ომი; 8. საზოგადოების საყურადღებოთ; 9. კვირი-
დამ-კვირამდე; 10. რუსეთის სახელმწიფო შემოსავალ-
განსავალი მომავალ 1913 წლისათვის. 11. სამრეკლო
ბუ. სამინისტრო შკოლა—მალაქელისა.

გზა ქრისტესი

(გაგრძელება *)

ქრისტეს ეკლესია დამყარებულია თავგან-
წირულ მსახურებაზე ღვთისადმი, დაუცხრომელ
ბრძოლაზე შინაგან და გარეგან ბოროტებას-
თან, ბოროტ სულელებთან,—ყოვლად შემძლე-
ბელი ღვთის ძალით. ასეთი მსახურება და ასე-
თი ბრძოლა, რა თქმა უნდა, ვერ ძალუძს
სუსტსა და უძლურ კაცს, განშორებულს ღვთი-
საგან და მისი ყოვლადღიერი შემწვენობი-
საგან...

თეით ფაქტი მკიდროდ და საიდუმლოე-
ბრიე შეერთებისა ქრისტე მაცხოვრის პიროვ-
ნებაში ღვთაებისა კაცობრიობასთან.—ნათლად
გვაჩვენებს, რომ კაცი, თავის თავად, თვინიერ
ღვთის ნების სრული ერთგულობისა (იოან.
6, 38), სრულიად უნდო და უძლურია: იგი
სცხოვრობს ნამდვილი ცხოვრებით მხოლოდ

*) იხ. „შინ-საქმ.“ № 34.

ცხოველ და განუყოფელ ერთობაში ღმერთთან, როგორც ერთადერთ წყაროსთან ყოველივე სიცოცხლისა და ყოველივე ბედნიერებისა (იოან. 5, 26.)

„შე ვარ ვენახი და თქვენ რტონი: რომელი დაადგრეს ჩემთანა და შე მისთანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თვინიერ ჩემსა არა რა ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი“ (იოან. 15, 5).

მატხოვრის პიროვნებაში, — დაცემული ქვეყნისთვის გამოსჩნდა განუსაზღვრელი სივრცე ზნეობრივი განვითარებისა...

ადამიანი მიხვდა თავის შეცდომას, ღრმად შეინანა, და მთელი თავისი სულით მიემყნო ქრისტეს ვაჟს, მის მაღლიან ეკლესიას, იმ მიზნით; რომ მონაწილეობა მიიღოს ნეტარ სიხარულში საზოგადო აღდგომისა, როგორც რეალური გამარჯვებისა ღვთის სინათლისა ცხოვრების ბოროტ სიბნელეზე და უსამართლოებაზე.

ადამიანმა მტკიცეთ იცნო, რომ ქვეყანა თვით-მიზანი კი არ არის, არამედ შკოლაა აღზრდისა ზეცისათვის, და რომ მხოლოდ ღმერთშია დასაწყისი, მიზანი, აზრი და უმადლესი გამართლება ყოველივე მყოფისა (გამოცხად. 22, 12).

ასეთ შეხედულობასთან, თვით ტანჯვა-წვალება და საზოგადოდ ნაკლულევიანებანი მიწიური ცხოვრებისა მორწმუნეთა თვალში იღებენ სიყვარულით აღმზრდელობითი მნიშვნელობას, როგორც ჩვენთვის საჭირო საშუალება უარსაყოფელად თავმოყვარეობითი განკერძოებისაგან... ქრისტიანები „იქადიან მწუხარებებით, იციან-რა, რომ მწუხარებისაგან წარმოსდგება მოთმინება (ზნეობრივი პირიანობა), მოთმინებისაგან გამოცდილება (ბრძოლაში ეშმაკთან და ქვეყნის ბოროტებასთან), გამოცდილებისაგან — იმედი (საბოლოო გამარჯვების სიკეთისა ბოროტებაზე, კეშმარიტებისა სიკრუეზე, ქრისტეს სინათლისა ეშმაკის სიბნელეზე). ხოლო იმედი (ღმერთზე) არასოდეს არ შეგარცხვენს“, იმიტომ რომ უფალი ყოველად ძლიერობს!...

ამიტრიდგან ჯვარი ქრისტესი შეადგენს

ნიშანს ბრწყინვალე დღესასწაულისა და ძლევისას ეშმაკის ბოროტებაზე, და ყოველივე ბნელზე, კაცობრიობის ბოროტ ღვთისწინააღმდეგობრივ წარსულზე... ნათლად ბრწყინავს იგი ჩვენი ტაძრების გუმბათებზე, და ოდესმე წინუსწრობს თავისი არაჩვეულებრივი განცხადებით ზეცაზე მეორედ მოსელის ძისა კაცისა (მათ. 24, 30), და მით ცხადად გვიჩვენებს, რომ მოახლოვებულია დღესასწაული საუკუნო ძლევისა, რომ „ღამემ გაიარა და დგება ღვთის ბრწყინვალე დილა დაუსრულებელის სიხარულის და ნეტარებისა!...“

ამნაირათ, ცხოვრებისა და საუკუნო ნეტარების დაშვიდრებისათვის საჭიროა სარწმუნოება ქრისტეს მიმართ, ცხოვრება მისი მცნებების თანახმად...

ქრისტეს ეკლესია აძლევს თავის წევრებს იმდენ ღვთიე-მონიჭებულ საშუალებებს ცხოვრებისათვის, რომ მხოლოდ მარტო ყველაზე მოუღრეკელი და ყოველად შეუნანებელი ცოდვლები, რომლებიც შეგნებით და ბოროტებით უარჰყოფენ მოწოდებას მატხოვნებელი სიყვარულისას, ესე იგი, „სული წმიდის მგმობელნი“ (მათ. 12, 31), ვერ შევლენ ზეციურ სასიყვარულო გარმონიაში, და საუკუნოდ დაიღუპებიან!...

და როგორ ყველაფერი საუცხოოდ შეესაბამება ღვთის სახიერებასა და სიბრძნეს!...

ნათლობაში მონაწილე ადამიანი უარჰყოფს თავისი ღვთის მგმობ სიყვარულს ქვეყნისადმი, აღთქვამს საუკუნო ერთგულობას ღვთის ყოველდღშია ნებისადმი, აცხადებს იმავე დროს სრულ სიძულვილს ეშმაკისადმი, — და გაბანვით მემკვიდრეობისა და კერძო ცოდვებისა შეუერთდება ღმერთის სიყვარულისა და სრულყოფის კავშირით.

წმიდა საიდუმლოებს აქვთ გარტვანი სახე, წესი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: სხეულიც, როგორც სული, საჭიროებს განწმენდას, აღმოცენებას ღვთის ძალით; იგი ოდესმე ბელ-ახლა შეუერთდება სულს ახალი, ნათელ შემოსილი სახით... კოტაა ესეც; თვით ბუნება თანდათან თითქოს სულიერდება ეკლესიურის რწმე-

ნისა და ლოცვის ძალით (კურთხევა წყლისა, მინდვრისა, ბაღისა, საქონლისა და სხვა); იგი, ნათლად სჩანს, შეწუხებულია აწინდელი მდგომარეობით, მოელის ადამიანთა ღიღების გამოცხადებას, მოელის თავის გარდაქმნას „ახალ ცად და ახალ მიწად“ — ყოვლად-შემძლებელი ღვთის-ძალით... მადლი ღვთისა, როდესაც ცოდვილ ქვეყნად მოდის და თან-და-თან სწმენდავს ადამიანს, ამით ის არ ჰკარგავს თავის ყოვლად წმიდა ბუნებას, როგორც, მაგალითად, მზის სხივი არ იცვლება იმით, როდესაც ის გასქვივის ბნელსა და ტალახიან ადგილებში, და აშრობს მათ...

2. საიდუმლო მირონცხებაში — ქრისტიანი, სუსტი ზნეობის მხრივ, თვით ნათლობის შემდეგაც, მიიღებს სული წმიდის მადლს, რომელიც განამტკიცებს მას ახალ ქრისტიანულ ცხოვრებაში, აყენებს მას დაცემისა და ცთომილებისაგან, „განადიდებს“ მის პიროვნებას ღვთის სასუფეველისათვის თავგანწირულებამდის. მაგრამ აქაც თავისუფალი ნება ქრისტიანისა, სულიერი სიუხიზლის დასუსტების წუთებში, ექვემდებარება ცოდვის საშიშროებას, და, „ჩვენ ფრიად ვსცოდავთ ყოველნივე“ (იბკ. 3, 2).

ყოვლად სახიერმა უფალმა, იცის-რა ჩვენი უძლურება და მეტის-მეტი გაფუჭებულება ადამიანის ბუნებისა, არ უნდა სიკვდილი ცოდვილისა, იგი საიდუმლო სინანულში გვაძლევს ჩვენ შეძობას ხელახლა შეერთებისას მასთან. სიყვარული ღვთისა, რომელიც მოითხოვს ჩვენ „შეიდჯერ სამოცდა ათ გზის“ პატიებას, სწმენდავს კაცს მრავალ ცოდვებისაგან, ხელახლად აგრძნობინებს მას თავს შვილად ღვთისა, მემკვიდრედ ზეციურ სასუფეველისა.

4. საიდუმლო ქორწინებაში შორწმუნენი მიიღებენ ღვთის მადლის შემწეობას ცოლქმრულის ღირსეული ცხოვრებისათვის, შეიღების დილოცვილი შობისა და აღზრდისათვის ღვთის სასუფეველის წვერებად. მღვდლობის საიდუმლოში — განსაკუთრებით არჩეულ პირებს მიენიჭებათ სული წმიდის მადლი, რომელიც

შეწევა მათ ხელმძღვანელობაში შორწმუნეთა ცხოვრებისათვის, და ღირსეულ შესრულებაში წმ. საიდუმლოთა. ზეთის კურთხევაში მიეცემა 6 ავადმყოფს მადლი, რომელიც მოარჩენს მას ზორციელი უძლურებისაგან, ან სულიერი უძლურებისაგან, თუ ღვთის განგებამ განუჩინა მას სიკვდილი, როგორც უმჯობესი მისი ცხოვრებისათვის. **ზისიქა?**

ყველა ამ შემთხვევებში მოგვეცემა ჩვენ მადლი და შემწეობა ღვთისა, რაიცა ყოველთვის გავგახსენებს ჩვენ დიდ დანაშაულობას ღვის წინაშე, აგრეთვე ჩვენს სისუსტეს და უძლურ შეზღუდულობას, ჩვენ სრულ დამოკიდებულობას, უბრალო საქმეებშიაც კი, ღვთის ყოვლად შემძლებელ ნებაზე.

მღვდ. იოანე ლუკანოვი.
შემდეგი იქნება.

საეკლესიო შკოლების სიყვარში.

ამაღლებაში საბოლოოთ დაიხურა მეორე კლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელიც აგერ 14 წელიწადია არსებობდა ამ სოფელში. რატომ? რა მიზეზია? ამ კითხვებზე კაცი პასუხს არ იძლევა და მიცემაც გასაკირია, მართალი რომ ესთქვათ. თავის დროზე სასულიერო მთავრობამ შეწირულება მოსთხოვა ხალხს. ხალხმაც უკან არ დაიხია, 2000 მანეთი ფულათ შეიტანა და ექვსი ქცევა და ნახევარი საუკეთესო ადგილიც შესწირა. ასეთი შეწირულება რომ დირექციას მოეთხოვა, ხალხი თავს მოიკლავდა და კაპის არ გაიღებდა, მაგრამ სასულიერო მთავრობას ენდო, სასულიერო მთავრობამ კი ეს ნდობა ვერ გაამართლა, შკოლა უკან წაიღო და ხალხი პირღია დასტოვა, ხალხი, რომელსაც ამ შკოლის გარდა სხვა შკოლა არ გააჩნდა. ამის შემდეგ გასაკვირი არ იქნება, რომ ხალხმა საეკლესიო შკოლებისგან პირი იბრუნოს და იმავე ენტეზიზმით უარყოს იგი, და ენტეზიზმითაც მიეგება მის პირველად გახსნას და შემოღებას. მერე ვინ არის ამაში დამნაშავე. უმაღლესი მთავრობა, ე.ი. უწ. სინოდთან არსებული სა-მოსწავლო საბჭო? სრულებით არა, არამედ ისევ ახ-

ლო-მახლო ბატონ-პატრონები—მამა პაშკევიჩი და მისი პროტეჟე ბ. იმერეთის საეკლესიო შკოლების მეთვალყურე ავერკიევი, რომელსაც საეკლესიო შკოლების და მისი მნიშვნელობის იმდენივე გაგება, რამდენი მე და შენ, მკითხველო, ჩინეთის იმპერატორების სასახლის საიდუმლოების. ბ. ავერკიევი პირველი თავის გამოსვლა სახალხო განათლების სარბიელზე პირველხარისხოვან საეკლესიო შკოლის გაუქმებით აღნიშნა და რა იქნება შემდეგ, ამას დიდი წინასწარმეტყველება არ უნდა.....

ხალხი მეტათ დაალონა შკოლის გაუქმებამ მაგრამ უფრო მეტათ იმაზე შესწუხდა, რომ ეს მოწყალე მოველინა მას სასულიერო მთავრობის მხრით, რომელსაც უსაზღვრო ნდობას უცხადებდა, გარნა თავი მაინც არ დაუკარგავს. იგი უკვე შეუდგა ექვს კლასიან სამოქალაქო შკოლის გახსნის თავდარიგს და არ გაივლის ორი წელიწადი, რომ იმავე უხვი შეწირულებით, რომელიც ხელუხლებლათ რჩება მომავალი შკოლისთვის და სხვა შეწირულების დამატებით, ხალხი ხსნას მისცემს თავის მომავალ თაობას, პირველდაწყებით სწავლა განათლების მხრით.

მანამ კი მის ჭეშმარიტ მოძღვარს მ. ზაქარია მკედლიძეს, შკოლის ყოფილ გამგეს არ სძინავს. რომ შკოლაზე შეჩვეულ ხალხს გული არ გაუგრილდეს და სწავლა განათლებას სულ თავი არ მიანებოს, მან გახსნა კერძო მესამე ხარისხის სამინისტრო შკოლა, სადაც თითონ პირადათაც იმუშავენ, როგორც დიდი ხნის გამოცდილი პედაგოგი და სოფლის კეთილდღეობაში დანტერესებულ პირებსაც დაიხმარს საყვარელ სამწყსოს საკეთილდღეოდ. ექვი არა გვაქვს მ. მკედლიძეს ხელმძღვანელობით და მეთაურობით ამაღლებლები მალე დაიარსებენ სამოქალაქო სასწავლებელსაც.

არ შეიძლება გული არ გტკიოდეს ადგილობრივ საეპარქიო საბჭოზედაც, რომლის მოვლევობას შეადგენდა ამ შკოლის ადგილზე დამკვიდრება. ამას იქით აღარ ვიცი რას ემსახურება პატივცემული საბჭო, რომელსაც მეორე ასეთივე შკოლაც კი აუბორგეს და ონში გა-

დაუტანეს—ვითომ სულერთი არ იყო საქმისათვის ალისუბანში იქნებოდა ეს შკოლა, თუ ონში!—საინტერესოა ვიცოდეთ, რას უზამს საბჭო იმ უხვ შეწირულებას, რომელიც ამ შკოლას მიუძღვნა მისმა ყოფილმა მზრუნველმა და სულის ჩამდგმელმა განსვენებულმა ნიკო ჩიკვაიძემ.... რა ბედი მოელის ონში გადატანილ შკოლას?

საუბედუროთ იღუმალი ხმა ჩავკვახის: „უსულგულო პატრონების ხელში ალისუბანის შკოლა არც ონში იქნება ხანგრძლივი“.....

ხელი.

ლოთობა.

(დასასრული 1)

საზოგადოთ თანდაყოლილი ჩვეულება არაა. სიბოროტეს და სიკეთეს, თანდათან, რამდენიც იზრდება და ვაჟკაცდება, ადამიანი პოულობს თავის ცხოვრების გზაზე. ყველაფერი სწავლაზეა. თუ თავიდან შეეჩვევთ პატარაებს ღვინო, იმათ ჯერ ეჩოთირებათ და არა სმენ, როგორც არა სასიამოვნოს, მაგრამ მერე თანდათან მწარე გაუტკებთ, ჩვეულებად გადაქცევთ და თუ პირობებიც ხელს უწყობენ, ე. ი. ოჯახში თუ უფროსი ღვინოს ხშირად სვამს, პატარაც იმას ბაძავს და უნდა მაგალითი უფროსიდან შეიძინოს, ისიც ფიქრობს, გლახა რომ იყოს ღვინის სმა, ჩემზე მეტი ჭკვიანი და უფროსი რაღათ ეტანება ასე გულსმოდგინეთო? მაშასადამე მაგალითი პირველი მიზეზია ყველაფრის შეთვისებისა საზოგადოთ, და ღვინის სმის საქმეში კერძოთ. თუ უფროსმა მოიშალა მაგარი სასმელების ხმარება და სახლში არ გააქაჯანა იგი, მაშინ უნცროსი ძალა-უმაღურად ასცდება მას.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ლოთობა ფართე გზას პოულობს დღეობებში, ქორწილსა, ნათელასა და გასვენებაზე. აი სად ისმება მეტი ღვინო! მაშ უნდა აიკვეთოს ისეთი „ობე-

1 იხ. „ზინ. საქ.“ № 34.

ბი“, რომლების დროს ღვინო იხარჯება. აქედამ ჩვენ ის კი არ გამოგვყავს თითქო სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამისთანებს სოფელში. ეს ბუნებრივად შეუძლებელია. ჩვენ უადგილოთ მიგვაჩნია აუარებელი ხარჯები. მაგ. ქორწილში ბევრი ხალხის დაპატივება და მათი გამასპინძლება რაღა საქიროა! ცოტათიც იოლად წავა კაცი „ტირილ-ქელებში“ სმას რაღა ეტანებიან? ან მკვდარს რას არგია ცოცხლის ღვინის სმა, ან მის ჰირისუფალს? ამაზე შეიძლება სოფლის საზოგადოებებმა ერთხმად დაადგინონ განაჩენი, რომლის ძალითაც ადკრძალული იქნება ტირილ-ხადილზე ბევრი ხარჯის გაწევა. თუ ვისმე რევეს სიმდიდრე, აილოს და ყოველ წლივ რაიმე კაი საქმისათვის გადასდოს ის, რაც დღეობაში ეხარჯება. ეს სულსაც ერგება და ხორცსაც. ეს სოფლად ახლა ქალაქი. ქალაქში ხომ უმეტეს ნაწილად განათლებული ხალხი სცხოვრობს, იქ ხომ მეტი ძალაა ბოროტებასთან საბრძოლველად!!.. მაშ იქ უნდა გამოჩენილიყო ნამეტანი გამჭირბობა ლოთობის წინააღმდეგ. ქალაქში მრავალია ისეთი ადგილები, რომლებშიც ლოთებიც ბევრია და სალოთავი ადგილებიც. დიდს ქალაქშია ქარხნები, რკინის გზის სახელოსნოები, სავაჭრო სახლები, დუქან-მაღაზიები. ამდენი სამუშევარია და მუშაკ ბევრია. აქაა საქმე. სადაც მეტი ძალაა, იქ მეტი მედგარი მუშაობაა საქირო. მუშები საქიროობენ სულიერ საზრდოს. მუშაობას რომ გაათავებენ, დანარჩენი დრო რაზე უნდა მოახმარონ?

მათი გასართობია დუქან-სამიკიტნო, ბილიარდ-ბანკოს სათამაშო სახლები და გამრყენელი სახლები. ეს არის ხაფანგი, აქ უნდა ვეძიოთ ბოროტების ბუდეები; მათ ნაცვლად უნდა გაიხსნას სამკითხველო-წიგნთ-საცავები, გაიმართოს სახალხო საკითხავები, შკოლების რიცხვი უნდა გამრავლდეს, — ნამეტურ საკვირაო შკოლები, — მაშინ ხალხი ზურგს შეაქცევს თვის დამლუბველ მაგარ სასმელებს. მაშინ ხალხი ეკანონიურად, ფიზიკურად და ზნეობრივად წელში გაიმართება. დასაარსებელი იქნება „სიფხიზლის საზოგადოება“, რომლის წევრებს დაე-

ვალებათ ზიზლი გამოუტყდალან ალკოვოლს. კაცი ხომ ღვთის სახე და ხატებაა, ცხოველებს ასწავლიან, აშინაურებენ და აკეთილშობილებენ და ნუ თუ ჩვენ ვერ შევსძლებთ სამარცხენო ბოძების დამზობას, ღვარძლის აღმოფხვრას და წმინდა თესლის დათესვას ჩვენს გულში!! ზნეობრივ სიდუხჭირეს დაუპირდაპიროთ ფაქიზი, ფხიზელი გული — გონება, მწვირეში წამხდარი და უზნეობაში ჩაფლული აზრი ადამიანისა ბრწყინვალე მზის შუქით გავაშუქოთ, წინ დაუყენოთ ზომიერება და შრომა პატიოსანი. ავაცდინოთ მოლიპულ გზას და ნავთ-საყუდლისაკენ მივიყვანოთ იგი!

მრავალ-საუკუნოებით შესისხლ-ხორცებული ჩვეულების აღმოფხვრა, ნარ-ეკლიანი ადგილის გაკაფვა, კარგ ნიადაგად გადაკეთება არც ისე ადვილია, მაგრამ სიძნელეს მეორე მოპირდაპირე ძალა დარევეს და ეს ძალაა განათლება, განათლებული ერისაგან ერთსულოვნება და ერთგულობა ბოროტების ფრთების თან-და-თან შეკვეცაში, ბნელი კუთხეების გაშუქებაში და როგორც, ადვილად გაეჩვევა ადამიანი სიგლახეს, ისე ადვილად გადაეჩვევა მას და სხვა მისთვის უფრო ხელსაყრელ გზაზე გავა. მაშ მეტი სინათლე და სიმზნევე საქმეში და სიბნელე და ჯანყ-ბურუსი თავის თავად გაიფანტება!!

მღვდელი კ. ანთაძე.

კ რ ი ტ ი კ ა. ეკატერინე ვაბაშვილისა.

VI.

(შემდეგი იქნება).

მოთხრობაში „ფუარსაბმა ცოლი შეირთო“ (გვ. 513) გამოყვანილია ლუარსაბ ცხონებაშვილი, დედლი შვილი, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში კურსი დაუსრულებია, ნამდვილი სწავლით აღჭურვილი გამოსულა ცხოვრებაში და ფრიად მკერმეტყველი და სინიღისიერი ვეჭილის სახელიც მოუხვეჭია.

ოც და ათი წლის ყმაწვილს, გარდა იმისა, რომ თვისი საცხოვრებელი ბინა რიგიანათ მო-

უწყვია, ექვსასი თუმანიც ბანკში აქვს ხელ-
ლებლად შენახული, „სოფელშიაც აქვს მამის-
გან დატოვებული მამული, სახლ-კარი და ვე-
ნახი“.

თითონ ლუარსაბი იყო თავით ფეხებამ-
დე ჯენტლმენი ყოველი ესთეტიური და არ-
ტისტიული მისწრაფებით და ამიტომაც, სა-
კვირველიც არ არის, რომ ასეთ ახალგაზდას
„უყვარდა ოპერა, კარგი წიგნების კითხვა, ლა-
მაზ და მასთან განათლებულ ქალებთან ბასი
და დროს გატარება“.

ბევრსაც უნდოდა იმისი დასიძება, მასთან
დამოყვრება, მაგრამ ლუარსაბს „მარტო ლა-
მაზი და განათლებული ქალები მოსწონდა“.

მაგრამ, საუბედუროთ, ლამაზ ქალებს იგი
არ მოსწონდათ, რადგან „ლუარსაბი იყო თავის
ხნის შესაფერად მეტად ტლანქი, რომ არა
ვთქვათ, დარგვალელებული ბურთივით, კისერ-
მოკლე, პაჭუა, წვერულვამ რიყა (?). რაც შე-
ნება თავის შემამკობელ თმას, ის სანთლითაც
არ მოიძებნებოდა იმის გოგრაზე, არამც თუ
იმას ფერი შეხამებოდა იმის წვერ-ულვაშს...
დამავიგირგვინებელი მიზეზი, თუ რათ ეზიზღე-
ბოდათ ლამაზ ქალებს ლუარსაბი, იყო მისი
ხელები: რბილი, მსუქანი და მუდამ ნესტი-
ანი“.

მაგრამ ქვეყანაზე დაუბოლოვებელი ხომ
არაფერია და ლუარსაბის დაჯინებულს ლტოლ-
ვილებასაც ბოლო მიეცა: შეირთო ლამაზი და
განათლებული ცოლი, სახელდობრ, ვერა ერას-
ტოვნა მსკთურაშვილისა, რომელმაც, მართ-
ლა, საქმრო ოსტატურად „გააბა მახეში“.

ვერა ერასტოვნა, რომელსაც დედიდანაც
მოდგამდა ისეთი ოინების ნიჭი, რომელმაც
მოინელა უბედური მამა იმისი, შევიდა თუ არა
ლუარსაბის ოჯახში, მაშინვე რალაც დაუჯერ-
ებელი სისწრაფით ისარგებლა ამ ღირსეული
გულის პატრონი ლუარსაბის „ქმრობით“ და
ჯიბითაც. შეილოც გაუჩნდათ, მაგრამ ამ მო-
ხერხებულმა „ცოლმა“ ლუარსაბის ქონება სულ
ერთიანა გაფლანგა მკირეოდენი ხნის განმავ-
ლობაში, შერე ასე სწრაფათვე ერთი შეთვალ-
და იტალიელი გიგურად შეიყვარა და იმას გა-

დაჰყვა უცხოეთში და იქიდან, აი, ასეთ სარ-
კაზმით საფე წერილს უგზავნის ქმარსა „Я па-
кажу вамъ, что не даромъ потратила тобою
заработанныя деньги и что сторицею возвра-
щу ихъ своему владѣльцу“. ამაყად იწერება
ვერა და თან განაგრძობს: რაც შენება ჩვენს
მომავალ ურთიერთობას, (მე არ მინდა მოგა-
ტყუო) ეგ ყოვლად შეუძლებელია. მე არტი-
სტი ვარ და თავისუფალი ფრენა შეადგენს ჩემს
სტიქიას, შენ კი, ჩემო მეგობარო, (ღმერთმა-
ნი, მეგობრათ მიმაჩნდი და მიმაჩნობარ) გმრო-
მელი მუშა და დედაშიწის უნდა დაჰყურებდე
განუყრელად. უეჭველია, შენ იშოვნიდი კიდევ
შენ შესაფერ და შენ ხელქვეით მეუღლეს,
რომელიც საუკეთესოდ მოგახარაშავს შენ სა-
ყვარელ ლობიო-კოლიოს და საგანგებოდ ულა-
ლაფებს შენ პატარა იპატის. ვასაოცარი ხარ
ყველაფერში, მაგრამ სანამ ჩემ შვილს შენ
დაარქმევდი მაგ უცნაურ სახელს, მანამდის გა-
საოცრად კი არ მიმაჩნდი. Если когда-нибудь
онъ будетъ въ моихъ рукахъ, я сумѣю и-
змѣнить это поповское имя и еще кое что по-
повское, რაც მე ვერ მოვიწვლე შენში და
რის მიზეზითაც (ისე უსინდისოთ, შენის აზ-
რით) გამოვექეცი გიშინეის კავშირს“.

წარმოიდგინეთ, ამ უსიციველო წერი-
ლის შემდეგ უხასიათო ქმარი გაქცეულ ცო-
ლის ბრძანებას ემორჩილება და წერილს უგზავ-
ნის, რომ იმ „პატიოსანი“ მანდილოსნის და
მისი საყვარლის საქეიფლო ფულების უხვად მი-
წოდებას პირდება უცხოეთში.

დიდათპატივცემული ავტორი აქსულ ერ-
თიანად დალატობს სინამდვილის მხატვრულად
აღწერაობას და მხოლოდ ფიქსი საყუთარი
გულის კაპრიზებს აყოლია. რისთვის არის იგი
ასე მწარედ გაჯავრებული ლუარსაბზე, რომელ-
საც თავი თვისიც კი დაუფიქვნია ცოლის გუ-
ლისთვის, სულმთლად მის ხელში ჩაგარდნილა,
იმ ცოლის ხელში, რომელმაც საქვეყნოთ თავი
მოსკრა, ოჯახი დაუნგრია. ერთადერთი
ღვიძლი შეძლიც კი კატის ქნუტივითა გულ-
დამწვარს მას მიუვლო და ვილაც იტალიელ
მომღერალს გადაჰყვა უცხოეთში, რომ იქ მას

თან სხვის ხარჯზე დრო უზრუნველად ატარონ ორთავემ...

ამაზე შორს ვიწრო პირადი ეგოიზმი ვერაგი, გაუტანელი დედაკაცისა ველარ წავა. აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღაა, რომ ადამიანს ღორივით ყელი გამოსჭრა და მგლებს გადაუგდო შარავხაზე შესაქმელად. მეცნიერები ამბობენ, დედაკაცს, საზოგადოთ, ისტორიით შეთვისებული აქვს ნერვული სისუსტე შედარებით მაშაკაცთანა და სქესობრივ ფაქტორს მის ცხოვრებაში უადრესი, უღიადესი მნიშვნელობაც აქვსო. ამიტომ ბევრმა მეცნიერი იკვლევს ფსიხოლოგიას დამნაშავე ქალების მთელი რიგისას, კაცის მკვლელ, ვერაგ, ავაზაკ და ქურდი ქალებისას და პირდაპირ გადაწყვეტით ასე ამბობენ: „ჩვენ აქ საქმე გვაქვს სქესობრივ ფაქტორთანა“. და ამავე აზრის არიან ეს ფსიხოლოგები შესანიშნავ დრამატულ ნაწარმოებში დახატულ ქალთა ტიპებზეც—ლედი მაგბეტზე, გედა გაბლერზე, ნორაზე, როზა ბერნდტზე.

მე შორს აღარ გავუყვები მეცნიერებს და აქ ანალიზს არ დაუწყებ ლუარსაბის დაღუპული ცოლის ყოველად შეუწყნარებელ მოქმედებას მით უფრო, რომ ჩვენს ავტორსაც სასანალიზრდაც არაფერი თვალსაჩინო, სერიოზული მასალა არ მოუტია და იგი სრულდებითაც არ ცდილა ცოლ-ქმარის დამოკიდებულება უფრო თანდათანობითი დაემუშავებია, დეტალურადაც გაეშალა ჩვენი თვალის წინ. საზოგადოთ უნდა შევნიშნო, პატრიუტული ავტორი ბევრ საბედისწერო გადაწყვეტ მომენტებს ერთობ ვაკერით და ზერელედ, სუბტუქად სწყვეტს ყოველთვის თვალსაჩინო ნაწერში და ამიტომაც არის, რომ იმისი მოთხრობანი ძლიერ, ღრმა კვალს ვერა სტოვებენ მკითხველის გულში...

ლუარსაბის ყოველი მოქმედება აჯავრებს, გულზე ცეცხლს უკიდებს ავტორს, მის გაუტანელ, თავზე ხელ აღებულ ცოლს კი თანაგრძნობით, სიმპატიით და შენდობითაც ეკიდება. შენდობით ეკიდება იმ ქალს, რომელსაც ქალური ყოველივე დაუკარგავს, სრულიად ჩამოურევია და საზიზღარ ქმნილებად გამხდარა, ლუარსაბზე კი რაღაცაზე გაბოროტებული

შურს იძიებს და საშინლად ამაგებს, ალობდ, იმიტომ, რომ ამ უბედურის შეიღმა ავტორის დაუთანხმებლად გაბედა და ღამაში, განათლებული ცოლის შერთვა ფიქრად განიზრახა...

სხვა რა დანაშაულობა მიუძღვის ლუარსაბს, მოთხრობიდან სრულებით არა ჩანს, და მეც აღარ გავუყვები ავტორის ზომიერ გადაცილებულ ზიზღსა და აღშფოთებას, რომელიც მოთხრობას უკარგავს ყოველ გვარ სალიტერატურო ღირსებას...

ნ. მ. მელი.

შეუტყნებელი ქინიანობა და გაუბედაობა.

იმერეთის ეპარქიის სამასწავლებლო საბსაბჭოს შუამდგომლობით ყოვლადუსამღედლორესმა გიორგიმ ნება დაგვართო ქიათურის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო შკოლის „ეკლესია—შკოლა“ გადაკეთებისა. კომიტეტმა ფული შეაგროვა და დღესაც აგროვებს, მაგრამ შეცდომით ისეთი დიდი პლანი ააღებინა, რომელიც ეკლესია—შკოლას არ შეეფერება და ძვირათაც ჯდება, საშვალზე კი არაფერი არ მოგვებოება, გარდა ღეთის მოყვარე პირების ნებაყოფლობითი შემოწირულებისა. ამ დიდებული პლანის შედგენის შემდეგ ის ეპარქია ნები, რომელნიც მხოლოდ თავის პირად სარგებლობაზე ფიქრობენ, რომელთაც ცხოვრების მიზნად გაუხდიათ მხოლოდ თავისი გაუმადარი კუჭი, სხვის კბენასა და ენა-ტანიობას არიან მიჩვეულნი და საზოგადო საქმის გაკეთებისა კი არაფერი სცხელათ, ჩასულან და მის შეუფებასთან დაუბეზლებიათ კომიტეტი, რომ ვითომც ეკლესია—შკოლის სახით იგი ამუშავდეს ქიათურაში საზოგადო ეკლესიის და ამით ვითომ მღვდელმთავარიც შეცდომაში შეყავდეს და საზოგადოებასაც ატყუებდეს, ასეთ უსაფუძვლო კორს „პროვოკაციის“ სუნი უდის და მიზნათ აქვს კეთილი საქმე ჩაშალოს; მაგრამ კომიტეტი სრული დარწმუნებულია, რომ ამას სასულიერო მთავრობაც მიხედება და საზოგადოებაც. დიხადაც საქიროა ქიათურაში საზოგადო ეკლესია, მაგრამ 1895 წლიდგან ამ

•17 წლის განმავლობაში ბევრი ზომები იქმნა ხმა-რებული. მაგრამ არ მოხერხდა, ერთი იმ მიზე-ზით, რომ ყველამ თავის ეზოში მოინდომა ეკ-ლესიის აშენება და პარტიული ბრძოლა ატყ-და, მეორე რომ მკვიდრნი მცხოვრებნი 28 კომ-ლის შეტი აქ არ არის და დროებით მცხოვ-რებნი კი საზოგადო განაჩენში არ შემოვიდნენ. ამიტომაც იყო, რომ ეკლესია — შკოლა ვირ-ჩიეთ და სათანადო ნებართვაც მივიღეთ. ეს ყველამ შეიტყო და შეწირულბაც ამ სახით და ამ მიზნით იკრიბება და არა სხვით. რადგან პლანი შეუფერებლად იქმნა ცნობილი, კომიტეტი ახალი პლანის ძიებნას შეუდგა. სხვათა შორის, ჩვენ (კომიტეტს) ძალიან გვი-ქეს პლანი კვახჭირის მთავარანგელოზის ეკლესიისა, სადაც ამ წლის სექტემბრის შუა რიც-ხვებში გავგზავნეთ ერთი ჩვენი კომიტეტის მწვერთავანი, ტენიკოსი იონა გრიგოლისძე ბელიაშვილი. ამას ეკლესია ძალიან მოწონე-ბოდა, მაგრამ რაღაცა მოსაზრებით კვახჭირის მღვდელს მამა იასონ ჩხიკვაძეს პლანის განათ-ხოვრება დაზარებოდა და ბ. ბელიაშვილი ცა-რიელი დაბრუნდა. იმავე სექტემბრის 23-ს იმა-ვე ტენიკოსთან ერთად კომიტეტმა მე გამგზავ-ნა სოფ. კვახჭირში იმავე მიზნით.

მივედით კვახჭირის ეკლესიაზე, მნათე და-ვიბარეთ და გამოვკითხეთ, თუ ვის ხელშია ეკ-ლესიის პლანი. პლანი აღმოჩნდა გლეხის სარ-დიონ ოდილაძის ხელში. ჩვენ გავვიკვირდა: ეკლესიის პლანი უნდა ინახებოდეს ეკლესიის საქმეებში და არა უბრალო გლეხთან. მივმარ-თეთ მღვდელს მ. ჩხიკვაძეს და ვსთხოვეთ, ეკ-ლესიის პლანი ენათხოვრებია და შესაფერი სას-ყიდელიც მიეღო ეკლესიის სასარგებლოდ, მაგ-რამ მან თავი გააქნია და ცივი უარი გვითხრა: „პლანი ჩემ ხელში არ არის, სარდიონ ოდი-ლაძეს აქვს და ჩემ ხელშიდაც რომ იყოს, მა-ინც ვერ ვათხოვებთ, ვინ იცის, ამისთვის რა სას-ჯელი მომეღისო“. ჩვენ მოვახსენეთ, რომ არა-ვითარი საშიში პასუხის გება არ მოგვლისთ, ხომ ხედავთ ყაჩაღები არა ვართ, მე თქვენი თანამშა მღვდელი ვარ, ეს განათლებული ტენ-ნიკოსია, ორივე კომიტეტის წევრნი ვართ და

რათ უნდა შევიყვანოთ შუცდომაში, რომ რა-მე სასჯელი მოგელოდეს; პლანს წავიღებთ ვა-დით, ხელწერილს მოგართმევთ, რომ ვადაზე დაგიბრუნოთ, თანაც რაოდენიმე მანეთს ეკლესი-ის შევწირავთ და ესეც სასარგებლოა თქო“. ბევრი თხოვნა-ღრიტინის შემდეგ, გვით-ხრა: „წადით, ეპისკოპოსს სთხოვეთ, თუ-ნებას მოგცემსთ, ბლალოჩინს მოწერს და ბლა-ლოჩინი კი მე მაცნობებს, მერე პლანი მაინც ჩამოერთმევა ოდილაძეს და საბოლოოდ აღარ დაეკარგება ეკლესიასო“. — ეს იმდენათ უბრალო საქმეა, რომ ამისთვის ყოვლადსამღვდელოს შეწუხება არა ღირს, საქმეც გაგრძელდება და ამდენი დროც არა გვაქვს-თქო, მოვახსენეთ. ბევრი მაგალითი მოუყვანეთ, ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ ვერა გავაწყვეთ რა, ბოლოს ვსთხოვეთ დაებარებია ოდილაძე და პლანი მაინც ეჩვენე-ბია, რომ 80 ვერსტის სიშორიდგან მოსვლას ტყუილა არ ჩავლო. მაგრამ ამაზედაც ცივი უარი მივიღეთ: — მე ვერ დავიბარებ, თქვენ თი-თონ მიდით და თუ გაჩვენებთ, მისი ნება არისო, ცივით მოგვიქრამ. იასონმა, მეტი ლო-ნე არ იყო, თვითონ ჩვენ მივედით სარდიონ ოდილაძესთან, რომელიც იქვე მღვდლის მე-ზობლათ სცხოვრობს, მაგრამ მან სხვაგან გა-გვასწრო. მის ოჯახობას ვსთხოვეთ ეკლესიის პლანი ეჩვენებია. — დიდს სიხარულით და სია-მოვნებით გამოგვიტანეს და გვაჩვენეს და თა-ნაც გვითხრეს: რომ სარდიონი შინ იყოს, აუ-ცილებლად პატივს გცემსთ და გათხოვებთო; ჩვენ კი პლანის ჩვენებისთვისაც დიდი მადლო-ბა შევწირეთ, რადგან მღვდელს რომ ქონოდა, შენახული, დარწმუნებული ვართ არც კი გვა-ჩვენებდა... ამნაირათ გამოვბრუნდით კიათუ-რაში ცარიელ-ტარიელი და თანაც ძალიან უკ-მაყოფილო და გულდაწყვეტილი მამა ჩხიკვა-ძეზე. დღესაც ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდ-გენია, ნუ თუ იმდენი ქრისტიანული კაცთ-მოყვარეობა, მშათ-მოყვარეობა და თანაგრძნო-ბა ვერ უნდა გამოიჩინოს სამღვდელი პირმა და ისიც ეკლესიის აღშენების საქმეში, რომ 80 ვერსტის მანძილზე კიათურიდგან ორჯერ ჩამო-სულდებს ისეთი თხოვნა ვერ შეგვისრულოს,

რისი შესრულებაც თამამად შეუძლია და ზნეობრივადაც ვალდებულია?!

კომიტეტის მონდობილობით ჭიათურის ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლის გამგე კომიტეტის წევრი—საქმის მაწარმოებელი მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

მოკონკრეტული კატორღის ეპისკოპოსის ცხრილებიდან.

ეპისკოპოსი გაბრიელი და თავადიშვილი ზრდილობის შესახებ.

(მღვდ. ზაქარია მაჭარაშვილისაგან ნაშრომი.)

ერთჯერ ეპ. გაბრიელი საჩხერის მხარეში მიწვეული იყო თავადიშვილისას მიცვალებულის გასვენებაზე. გასვენების ღამეს ეპ. გაბრიელი ღამის გასათევად ისევ მიცვალებულის ქირისუფალთა ოჯახში დარჩა. ვახშვით ქირისუფალთა ნათესავებიც მრავლად დარჩენილიყვნენ, რომლებიც ეპ. გაბრიელთან ერთად მიწვეულ იქმნენ პურის საქმელათ. ვახშმის დროს ეპ. გაბრიელი ჩვეულებისამებრ მიირთმევედა ხოლმე სადღეგრძელოს, როგორც ქირისუფალთა, ისე დამსწრე საზოგადოებისას, რასაც უმატებდა თავის ღმობიერ მოძღვრებადარიგებას და ყველას „შენ“-ობით ელაპარაკებოდა. ყველა კრძალულებით უსმენდა მღვდელმთავარს, გარდა ერთი ხანში შესული თავადიშვილისა, რომელიც მღუმარებით და სახის მოკმუხებით გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, რაიცა გაბრიელს შეუნიშნავი არ გამოეპარა.—შენ, თავადო, რაღაც არ მოგწონს ჩემგან და უკმაყოფილება გეტყობა და გთხოვ, განგვიმარტო შენი უკმაყოფილების მიზეზი, უბრძანა მღვდელმთავარმა. თავადი ჯერ შეუყოყმანდა, მაგრამ ისევ ჩქარა მოეკრიფა გამბედაობა, კრძალვით ზეზე წამოდგა და გაბრიელს მოახსენა: „თქვენ, მღვდელმთავარო, დიდებული მოძღვარი ბრძანდებით, სწავლამოძღვრებაში ბადალი არავინა გყავსთ, მაგრამ საოკრად მიკვირს, რომ შავისთანა დიდებულ პირს ზრდილობა გაკლიათ: ჩვენ, თავადები, უბრალო ბისაც კი „თქვენ“-ობით მივმარ-

თავთ ხოლმე და თქვენ კი დიდსა და პატარას, თავად-აზნაურთ, თუ გლეხთ ყველას შენობით ელაპარაკებით ხოლმეო“, დაათავა თავადმა. ყველანი სმენათ გადაიქცენ და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაბრიელი ოდნავაც არ აღელვებულა ამ გარემოებით და თავადს შემდეგი უპასუხა: --მე ამ მინუტშივე გაგაგებინებ, მე ვარ უზრდელი, თუ ისინი, ვინც შენსავით ფიქრობსო, და უბრძანა სუფრაზე მჯდომ ადგილობრივ მღვდელს ზეზე ადგომა და საუფლო ლოცვის „მამაო ჩვენო“-ს წარმოკითხვა. მღვდელი წამოდგა გადიწერა პირჯვარი და დაიწყო: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათაშინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, „ეს ერთი“ ბრძანა მღვდელმთავარმა, მოვედინ სუფევა შენი, „ეს მეორე“ ბრძანა გაბრიელმა; იყავნ ნება შენი, „ეს მესამე“ გაიმეორა კვლავ მღვდელმთავარმა და უბრძანა მღვდელს დაჯდომა. მერე მიუბრუნდა ხსენებულ თავადს და უთხრა:—ახლა გკითხავ, შენ, თავადო, თუ კი ერთსა და იმავე და ისიც უფლის ნაბრძანებ ლოცვაში ყოვლის შემძლებელ და ქვეყნის შემოკმედ ღსერთს საბეჯერ „შენ“-ობით ვხადით, შენისთანა და ჩემისთანა მომაკვდავებს ნუ თუ „შენ“-ობით ხმობა საქრახისათ უნდა მიგვაჩნდესო. იქ დამსწრე საზოგადოება გაოცებული დარჩა ეპ. გაბრიელის მოსწრებული და ბრძნული პასუხით და ერთხმად შელაღადეს: „დიდება შენდა დიდო მღვდელმთავარო და საქართველოს ოქროსპიროვო“ და ყველანი სათითაოთ სუფრიდგან წამოიშალნენ, თაყვანისცემით მიდიოდენ გაბრიელთან და მოწინებით ლოცვა-კურთხევას გამოითხოვდენ.

გაბრიელ ეპისკოპოსი და ეკლესიის ოსტატები მარხვის შესახებ.

ყოველდღისა მღვდელი გაბრიელი 1880 წელსში სარევიზიოთ დაბრძანდებოდა ზემო-იმერეთში. მობრძანდა სოფ. კობოლში ლეთისმშობლის ეკლესიის სამრევლოშიდაც, სადაც ის-ის იყო შესდგომოდენ ახალი ეკლესიის შენებას ბერძენი კალატოზები. გაბრიელ ეპისკოპოსმა დაწვრიელა ახალი ეკლესიის ბაღა-

ვერი, გამოჰკითხა ოსტატებს საჭირო მასალის შესახებ, მისცა დარიგება ეკკლესიის ამშენებელ კომიტეტის წევრებს და აუარებელ ხალხს უქადაგა, რის შემდეგაც მოსასვენებლად კოტახნით შებრძანდა სენაკში (ჩვენში საქალბოს ეძახიან). ყოვლადსამღებლო გაცდა, როდესაც დაინახა ახალი დაკლული ცხვრის ორი ფელიკი ჩამოკიდებული სენაკის კედელზე, ვინაიდან იუანობისთვის მარხვა იყო. მაშინვე უბრძანა ადგილობრივ მღვდელს ზაქარია მაქარაშვილს დაუყონებლივ შეეტყო, თუ ვინ მიერთმედა ამ მარხვაში ხორცს ასე საჯაროთ და ურცხვათ. გამოირკვა, თურმე ეკკლესიის ამშენებელი ოსტატები-ბერძნები ყოველი 2—3 დღეში მიერთმევენ ხოლმე თითო ცხვარს ამ მარხვაში და ეს ფელიკებიც იმათ ეკთვნოდათ, რაცა ყოველივე მოხსენდა გაბრიელ ეპისკოპოსს. ამ ამბავმა დიდათ განარისხვა მღვდელმთავარი, მსწრაფლ დაიბარა ოსტატი ბერძნები საჯაროთ შერისხა ასეთ ღვთის საწყენ საქციელის გამო, გაუსწორა ნამუშევრის ყოველივე ანგარიში, ააღებინა ხელი ეკკლესიის აშენებაზე და სხვა ოსტატებს მიანდო.

გაბრიელ ეპისკოპოსი და დედაკაცი. ქმრი-საგან შეურაცხყოფილი.

საფელ კობრაულში ეკკლესიის საკურთხებლად მობრძანდა გაბრიელი 1885 წელს, რომელმაც ნაწირებს ჩვეულებრივ უქადა ხალხს და აუარებელი მლოცველები იმთხვია ხელზე. ამდროს გაბრიელთან შივიდა ადგილობრივი გლეხის პატა კაპანაძის შეუღლა, ჩაუვარდა მღვდელმთავარს ფეხქვეშ და შოახსენა, რომ ჩემმა ქმარმა სხვისი ენის მიტანით მცემა, სასტიკი შეურაცხყოფა მომიყენა და მერე სალორეში შემავდო და დამამწყვრიოა. გაბრიელი დიდათ დააღონა ქმრისაგან ასე უდიერით მოპყრობამ თავის შეუღლისადმი და ბრძანა კვლავ ხალხის მოგროვება დიდ მუხის ქვეშ, იქ შედგა მომალლო ერთ-ერთ საფლავის ქვაზე დათავისი მადლიანი პირით ხელმეორეთ და მოძღვრა ხალხი, თუ რა არის კოლქმრობა, როგორ უნდა იყონ კოლქმარი

ერთ-ხორც და ერთ სულათ, რანაირი ერთგულება და მორჩილება უნდა გაუწიოს კოლმა ქმარს; აგრეთვე ქმარი როგორ უნდა უფთხილდებოდეს თავის კოლს, როგორც სუსტ ქმნილებას და სხვა... დიდად გაუწყრა გლეხს პატა კაპანაძის მისი უდიერი საქციელისა გამო; აყვედრა აგრეთვე ხალხს ცუდი ენის მიტანის შესახებ, ვინაიდან ამნაირი ენის მიტანით მრავალი უბედურება და ცოდვა ხდება ჩვენს ქვეყანაშიო და წინადადება მისცა ხსენებულ გლეხს, რომ ბოდში მოხედათ თავისი შეურაცხყოფილი კოლის წინაშე. გლეხმა მღვდელმთავრის ბრძანება მის თვალწინვე შეასრულა: აუარებელი ხალხის თანდასწრებით თავის კოლს პატიება სთხოვა და ორივე მუხლებზე აკოცა და ეპისკოპოსს ალთქმა მისცა, რომ შემდეგ სხვის სიტყვას აღარ აყოლოდა. ამ გარემოებამ დიდათ იმოქმედა ყველა იქ დამსწრეებზე და ქალის პატივისცემა ერთი ათად გააძლიერა.

მღვდელი ელადიმერ მაქარაშვილი.

ო. მ. ი.

ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შორის ომი უკვე დაიწყო. ჩერნოგორიელებმა რამდენჯერმე კიდევ გაიმარჯვეს ოსმალებზე. ჩერნოგორიას ბალკანეთის ყველა ქრისტიანი სახელმწიფოები მიემხრო. ვინ დარჩება გამარჯვებული ამ ომში, ამის თქმა ჯერ ძნელია. თუმცა ოსმალეთს მეტი ჯარი ყავს, მაგრამ თავგანწირულება ბევრს ნიშნავს. ოსმალეთმა თავის ოსმალური პოლიტიკით უკიდურეს ზომამდე მიიყვანა ყველა ბალკანეთის ქრისტიანი ხალხები. დღეს მართებლობაც რომ ძალიან უარს გახდეს ომზე, ხალხი მაინც თავისას იზამს. ოსმალეთის სასტიკ რეჟიმს ვვლარ გაუძლო ქვეშევრდომმა ქრისტიანმა ხალხებმა, ისინი სიკვდილს არჩევენ თათრის ხელში სიკოცხლეს. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ დღეს მოთმინების ფილა შეტათ აივსო და ოსმალეთს ქრისტიანები სიკვდილ სიკოცხლის ომს უცხადებენ. გაზეთების აზრით ამ ომის თივიდან აკილება შესაძლებელი იყო, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოებს ოსმალეთის-

თვის ძირითადი რეფორმების შეტანა დაეძალე-
ბიათ ბალკანეთის ქრისტიან ქვეშევრდომების
შესახებ. ასე თუ ისე ომი უკვე დაიწყო და,
უნდა გამოვტყდეთ, ჩაენი სიმპატია ბელკანეთის
ხალხებისკენ არის. ექვი არა გვაქვს ამავე გრ-
ძნობით იქნებიან გამსკვალული, ვისაც სამარ-
თლიანობა უმაღლეს პრინციპით აღუარებია
ხალხთა შორის ურთიერთობაში.

ქვემოთ მოყვანილი მეომარ მეფეთა სიტ-
ყვები აშკარათ ამტკიცებენ, თუ ვინ არის
მიზნები ამ ომისა, რომელშიდაც უნდა დაი-
ღვაროს ასი და ორასი ათასი უბრალო კა-
ციის სისხლი, რომელთა სათითაოთ რომ ჰკით-
ხოთ, ყველა თანახმა იმაში, რომ კაცი კაცის
შგელი არ უნდა იყოს, რომ ყველას უფლება
აქვს იცხოვროს საერთო ღეთის მამულში.

ბულგარეთის მეფის სიტყვა.

სოფია. ფერდინანდ მეფემ მიჰმართა სიტ-
ყვით ბულგარელ ხალხს: „ბულგარელო! ოცი
წლის მეფობაში ვცდილობდი მშვიდობიანი და
საკულტურო გზით წინ წაშეწია ბულგარეთი,
მომგებოვებინა მისთვის სახელი, პატივი და კე-
თილდღობა. განგებამ სხვანაირად მოაწყო საქ-
მე: დადგა დრო, როცა ბულგარებმა მიატო-
ვეს საკეთილდღეო მუშაობა და იარაღს მიჰმარ-
თეს დიდი ამოცანის გადასწყვეტად.

რელოდაგომის და როდოქსის მთების
იქით ჩვენი ერთმორწმუნე ძმები მთელ მან წლის
გამავლობაში ელოდნენ აღამინურ ცხოვრებას
აუტანელ პირობების გაუმჯობესებას. დიდ სა-
ხელმწიფოთა ცდამ და ბულგარეთის ცდამაც
ამ მიზნის განსახორციელებლად უნაყოფოდ
ჩაიარა და მიზანს ვერ მიაღწია. ბალკანეთის
მონების კრებლმა, მათმა განუწყვეტელმა კენესამ
მთლად დაატყვევეს მათი თვისტომნი და ერთ-
მორწმუნე ძმები. ბულგარელ ხალხს ასოვს
წინასწარმეტყველური სიტყვები განმანთავისუფ-
ლებელ მეფისა: „წმინდა საქმე უნდა ბოლომ-
დის მიყვანათო!“ ჩვენ თავისუფლები ვართ
და ჩვენი მოძმენი კი მძიმე უღელ ქვეშ, მშვი-
დობიანობა დაიბრუნა, და რომ ქრისტიანთ

უშველოთ, ერთადერთი სახსარია იარაღს მიე-
მართოთ. მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლი-
ან მოუპოვოთ აღამინური ცხოვრება და ღირ-
სება. იშტიშსა და კოჩანს მომხდარმა ხოცვამ,
იმის მაგივრად, რომ დამნაშავეთა დისჯა გამო-
ეწვია, და დაჩაგრულთა მფარველობა, რო-
გორც ჩვენ მოვითხოვდით, გამოიწვია ჩვენ
სახლცრებზე ოსმალეთის მობილიზაცია. მოთმი-
ნების ფიალა აივსო. კაცმოწყვარებაში, სათო-
ვებამ, რაც ბუნებითი თვისებაა ქრისტიანისა და
აგრეთვე ბოლგარეთის ღირსებამ და ძალამ მა-
იძულა ჩემი დროშის ქვეშ შემექრიბა ბულგა-
გარელნი მოძმეთა გასანთავისუფლებლად. ჩვე-
ნი საქმესამართლიანი, დიადი და წმინდაა. ვამაყ-
რებ რა დიდს იმედებს ყოვლად შემძლებელზე, უც-
ხადებ ბულგარელ ხალხს, რომ ომი აღამინის
ღარსებათა მოსაპოვებლად გამოცხადებულა.
უბრძანებ ბულგარეთის ჯარს ოსმალეთის სახ-
ლცრებისკენ დაიძრას. ჩვენთან ერთად იბრძო-
ლებს საერთო მტრის წინააღმდეგ სერბია, სა-
ბერძნეთი და ჩერნოგორია. ეს ბრძოლა—ბრძო-
ლაა ჯვარისა ნახევარ მთავრესთან, თავისუფ-
ლებისა ტირანიასთან, ჩვენ მხარეს არის ყველა
ის, ვინც აფასებს წინსვლას და სამართლიანო-
ბას. გამხნევებული ამ თანაგრძნობით ძლევამო-
სილი ბულგარეთის ჯარი გაიხსენებს წინაპრე-
ბის გმირობას და თავგანწირულებას. დეე, გზა
თქვენი იყოს გზა გამარჯვებიდან გამარჯვებამ-
დე. თქვენთან არს ღმერთი!“

სულთანის მანიფესტი.

„მთელმა ქვეყნიერებამიცი ოსმალეთის
მშვიდობის მოყვებრება (sic!). მალეთი პატი-
ვისცემით ეკიდება სხვა ერის უფლებას, უნდა,
რომ მის უფლებასაც პატივისცემით ეპაურო-
ბოდნენ, არავითარი შავი განზრახვა არ მოქ-
მედებს ოსმალეთს, გულში არა ვითარი ბორო-
ტი არა აქვს, და ამისთვის სხვისგანაც მოით-
ხოვს გულწრფელობას და გულახდილობას.
ოსმალეთი არ არის მოწადინე დაახევიოს ან
და ხელი შეუშალოს რომელიმე ხალხის წინ-
სვლას, და ამასავე მოითხოვს თავისდა მი-
მართ. მიუხედავად იმისა, რომ წინ დაუბლო-

ველი დაბრკოლება გველოდება, ჩვენ ძალის-
და გვარად ვცდილობთ ცხოვრება განვაახლოთ;
ხალხის ბედნიერებისთვის ვიღვწით ჩვენ!

ჩვენი პატარა მეზობლები კი, ჰხედავენ
რა ჩვენ წინსვლას და განვითარებას სცი-
ლობენ ხელი შეუშალონ და ცხოვრება უკან
დასწიონ. მათი უკანონო ზრახვანი, ჩვენი რე-
ფორმების წინააღმდეგ არის მომართული. ჩვე-
ნი გაჭირვებული მდგომარეობით ისარგებლეს
მათ და ჩვენდა საწინააღმდეგო მოქმედებისთვის
შეთანხმდნენ და შეერთდნენ.

ბულგარეთის, ჩერნოგორიის, სერბიის და
საბერძნეთის უტოპისტებმა, იმ მხარეს, რომე-
ლიც 600 წლის წინად ჩვენი სათარეშო მოე-
დანი იყო, დაივიწყეს, რა ძვირად აფასებს ოს-
მალელი თავის სიკოცხლეს და როგორ თავ-
განწირულად იბრძოლა ერთი წლის განმავლო-
ბაში ტრიპოლიტანში.

ჩვენმა მეზობლებმა საზღვრებზე ჯარი გა-
მოგზავნეს, რამაც გვაიძულა ჯარის მობილი-
ზაცია მოგვეხდინა, რომელიც მუდამ ერთგუ-
ლი დარაჯია ოსმალეთის პატიოსნებისა. ამის-
თვის ბრძანებას ვცემ მოხდეს საერთო მობი-
ლიზაცია. ესეა თქვენ გეძლევათ შემთხვევა
დაიკვათ თქვენი სამშობლო, რისთვისაც წინა-
პრები ძვირფას სისხლს ანთხევდნენ. თქვენი
მოვალეობაა ხელი შეუშალოთ და არ ვაქე-
ლინოთ მტრებს ის წმინდა ადგილი, რომელიც
წინაპრების ნაშთს იმარხავს. მტრები მოზღვე-
ვებულან ჩვენი ბედნიერების დასარღვევად,
ჩვენი შვილის შვილების ჩასაქოლად, თქვენ შეგ-
შენით, ვითარცა წინაპრებს, ხმალის შემოქ-
ნევით მოჰკვეთოთ მარჯვენა, ვინც გაჰბედავს
ჩვენ სამშობლოს შეურაცხყოფას. თქვენ შეგ-
შენით იბრძოლოთ ისე, როგორც თქვენი
მომძენი ტრიპოლიტანში. დარწმუნებული ვარ,
თქვენ წინაპრების დაფნის გვირგვინებს მიუმა-
ტებთ ერთ გამარჯვების გვირგვინს კიდევ.
ყოველად ძლიერმა ღმერთმა მოგანიჭოთ გამარ-
ჯვება, ჩვენდა სალხენად, სამშობლოს გასახა-
რებლად“.

ხელს აწერს ახმედ-რეჟიდი.

საზოგადოების საუბრად.

არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც
თვალ-წინ გვიხორციელებენ სახარებაში ხსენე-
ბულ იგავს: კაცი ვინმე იყო ღვთისა არა
ეწინოდა და კაცისა არა რცხვენოდა“
(ლუკა 18, 12). ასეთი ადამიანები არათუ
მხოლოდ ერისკაცებში მრავლდებიან, არამედ
სასულიერო პირებშიაც მრავლად იჩინეს თავი.
ამათ რიცხვთა შორის ერთმა ადამიანმა ისე
დახელოვნებით გაივარჯიშა საბერო ტანისამო-
სით მგელ-ცხვარობა, რომ 15 წელიწადია,
რაც საზოგადოებას ატყუებს, მიმოვალს მთელ
საქართველოს ქალაქ-დაბებში და სოფლებში,
ხან ამბობს ალექსი შუშანიას ბერი ვარო, ხან
ძველი ათონის ბერი ვარო. უკანასკნელთათვის,
რალაც მანქანებით, ბეჭედ-დასმული წერილი
გამოუტყუებია და მათი სახელით ავიწროებს
საწყალ ხალხს. ბერი ვითმინე შეიძლება გას-
წორდეს და ბოლო მოელოს ამ ადამიანის ხე-
ტილს და გაიძვერობით საზოგადოების შეწუ-
ხებას მეთქი; ბევრჯერაც ჩვენთან მოსვლის
დროს ვამხილევ და კიდევ დავითხოვე სავანიდან
და მის მიერ ჩადენილი ხალხის მოტყუება და შე-
წუხება უსაყვედურეთ, მკაცრად მოვეპყარით, მაგ-
რამ არა და არა, უფრო გაახელოვნა თავის რო-
ლი და ანაფორა ჩაკმულად გააორკვეა მისი
კინტური მოქმედება.

მე, ერთის მხრით პირადად მრცხვენია
ძმის შეურაცხ-ჰყოფა და განქინება მისი უკე-
თურებისა, მაგრამ უდიდესი იგი ზოგადი ვალ-
დებულება პირადას ძლევს, მაშინ როდესაც
საზოგადოების საღმრთო სიყვარულის გამო
ხალხის მავნებელ და შემაწუხებელ სიბორო-
ტის განკიცხვა მოვალეობად მიმაჩნია. ბევრ-
ჯერ მოვინდომე გაზეთის საშუალებით გამეცნო
საზოგადოებისათვის ასეთი მატყუარა პირის
ყალბი მოქმედება, მაგრამ როგორც ზემო
მოგახსენეთ ბერულმა აზრმა დამადლუმა. უკანას-
კნელ, რადგან თან-და-თან უფრო გაკადნიერ-
და და თითქო ბრძანებით იმონავენს და აწუ-
ხებს ხუთი-ათი დღე დარჩენით ოჯახებს მისდა-
მი პატივისცემად, დიდ დანაშაულობად მიმაჩნია

დადუმება და ვაცხადებ: ეს გახლავსთ თვედლორე არჩვადე ანაფორა და კუნკულში შემალული კინტო, რომელიც დაძვრება მოუსვენარად სოფელ-ქალაქებში და თან ისეთი უზნეობით იქცევა თურმე, რომ შეუძლებელია მისი ავხასიათობის აღწერა. ამას ვამბობ, ყოველ მხრიდან ჩემდამი ზოგ შემოთვლილ და ზოგ პირადად გადმოცემულ საბუთით.

მიემართავ პატივ-ცემულ საზოგადოებას, თუ ამ მატყუარა ადამიანმა კიდევ განაგრძო თავის უკეთური ხელობა, სდევნოს, არ შეიწყნაროს და თუ საჭიროება მოითხოვს მღვდელმთავარს მიმართოს. ამასთან დავსძენ ჩვენი სავანის შესახებ, რომ დაარსებიდან ამა სავანისა არაოდეს მიკადრებია გამეგზავნა ბერი სათხოვრად არაერთარი საჭიროებისათვის. სავანის ძმები თავიანთ შრომით ცხოვრებენ და მახლობელ საზოგადოებას პირ-იქით ეწევა ჩვენი უჯამაგნრო სავანე მათ გაჭირვებაში შეძლებისდაგვარ. და თუ ვინმემ დღემდი, როგორც ხსენებულ არჩვადემ ისე სხვებმა, იტყუარეს ჩვენი სახელით ფულის გინა რაიმე ნივთიერების თხოვა, ესენი გაიძვერა მატყუარები არიან, რომელთა მოქმედებამ განმკრძალა მოგმართოთ, რომ ჩემს სიცოცხლეში ჩვენი სავანის სახელით არასოდეს არ ვიკადრებ ხალხის შეწუხებას და ნურავინ მოგატყუებსთ.

აგრეთვე დიდ სამწუხაროდ მიმაჩნია და ვერ მიტევს გული, რომ არ აღმოვთქვა: ვილაც ოხრები დაწანწალობენ, ბერძნები ვართო ზოგნი ანაფორიანები, ზოგნი ერის კაცები და ყოველ წელ ყალბი მოწმობით დაძვრებიან, ვითომდა იერუსალიმიდან ვართო და რადა-რავებით არ ატყუებენ ხალხს, დაძარცვენ ფულით, თუ ტანსაცმელით და ყოველგვარ მოთხოვნილებით ხალხი. ყოველადვე ნუ ენდობით მათ.

უმორჩილესად ვთხოვთ პატივ-ცემულ სამღვდელოებას, ესე ყოველი გააგებიონ მათ სამწყსოს, აუხსნან ამათი სიყალბე, რათა დაჩვეულ ორ-ფეხ ტურა მელებს, რომლებსაც ლეთისა არა ეშინისთ და კაცისა არა რცხენით; მოესპოსთ ურცხენო და უღმრთო მოქმედება.

ალექსი ბერი.

კვირიღამე-კვირამღე.

გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი ივ. რაიკე სამართალში მიცემულია ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წერილის დაბეჭდვის გამო. მოწმეებათ გამოწვეული არიან ეპისკოპოსები დავითი, ანტონი, პიმენი, გიორგი, ლეონიდე, კირიონი, ბერი სამღვდლო პირნი, აგრეთვე პროფ. ცავარელი, აკად. ნიკ. მარბი, პუბლიცისტი ნ. დურნოვო. სასურველია ჩვენმა ადვოკატებმა ფართოდ და სამაგალითოდ მოაწყონ ამ პროცესის საქმე.

გაზ. თემი.

გადაიცვალა რაქის მაზრის სოფ. ცხომის მღვდელი ექვთიმე მისურაძე. ეს ის მღვდელია, რომელმაც შემწეობა აღმოგვიჩინა წიგნაკის „სინამდვილე სახარებისა“-ს გამოცემაში და სხვა დახმარებასაც გვპირდებოდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ წიგნებ-წიგნაკების გამოცემაში. იმედია მემკვიდრე უყურადღებოთ არ დასტოვებს მამის განძრახვას.

ალის-უბანის მეორეკლასიანი სასწავლებელი იმერეთის საეპარქიო საბჭომ ონში გადაიტანა. ამ ახალ სასწავლებელს მისცა ყველა ის ნივთები, რომელიც დარჩა ამაღლების ამნაირივე სასწავლებლის გაუქმების შემდეგ. ონის ახალ სასწავლებელში ჯერ სწავლა არ დაწყებულა.

იმერეთის ეპარქიის მეთვალყურე, რომელსაც დღემდის ბინადრობა თბილისში ჰქონდა და ქუთაისში ძვირათ ნახულობდენ, როგორც გავიგეთ, ქუთაისში ბინადდება, რასაც ულოცავთ სამრევლო შკოლების მასწავლებლებს, რომლებიც დიდათ შეწუხებული იყვნენ ამ გარემოებით.

თბილისის სამღვდელოებას თათბირი ჰქონია, საჭიროა, თუ არა ქართველი მისიონერი

ლინიზნოს ეპარქიაში ქართველთათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ მისიონერი საკირო არ არის, რადგან ჩვენში სექტანტობა არ არის გავრცელებულია. ამის შესახებ რედაქცია მალე თავის აზრს გამოსთქვამს.

რუსეთის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი მოძავალ 1913 წლისათვის.

საერთო კრებული სახელმწიფოს შემოსავლ - გასავლის აღწერის პროექტი 1913 წლისთვის. სახელმწიფოს შემოსავალი: 1. ჩვეულებრივი შემოსავალი: პირდაპირი გადასახადი—249.865.738 მანეთი. არა პირდაპირი გადასახადი— 657.424.200 მ.; ბაჟი— 218.257.160 მ.; სახელმწიფოს რეგალები 925.303.075., სახელმწიფოს ქონება და კაპიტალი—986.849.769., სახელმწიფო ქონების გამოყოფვა—1,625.608. გამოსასყიდი გადასახადი—909.700. სახელმწიფო ხაზინის ხარჯის ანაზღაურება—113.115.772. სხვა და სხვა შემოსავალი—15.791.734. ჯამი ჩვეულებრივი შემოსავლისა—3.169.142.828. 2. საგანგებო რესურსები: სახელმწიფო ბანკში მუდმივად შეტანილი—2000000 ხაზინის ვალის გასტუმრება მთელ იმპერიის გამოსაკვები კაპიტალისა—8000000. ჯამი საგანგებო რესურსებისა—10000000. სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი კაპიტალი—29.264.133. სულ 3.208.406.961.

სახელმწიფო გასავალი 1. ჩვეულებრივი გასავალი: სასახლის სამინისტრო — 16.359.595, ფინანსების სახელმწიფო დაწესებულებანი — 9.213.214. წმინდა სინოდის უწყება — 44.219.759. გარეშე საქმეთა სამინისტრო — 7.179.295. შინაურ საქმეთა სამინისტრო — 182.303.677. ფინანს. სამინისტრო — 453.699.561, იუსტიციისა. — 89.460.491. განათლების სამინ. — 136.734.476. სამინის 649.609.650. ვაჭრობის მრეწვ. სამინ — 59.529.776. მიწათმოქმედი და მიწათმოქმეობი უწყება — 135.813.118. სახელმწიფო ცხენ. მოშენ. — 2,593.450. სახედრო სამინ.

545.581.753. საზღ. სამინ. — 230.374.400. სახელმწიფო კანტროლი—12.094.904. სახელმწიფო ვალების გადასახადი — 402.207.086. მოულოდნელი ხარჯი—10000000. ჯამი ჩვეულებრივი გასავალისა — 2,987.784.205 მ.

ჩვეულებრივი შემოსავალი აღმატება ჩვეულებრივ გასავალს—181.358.695 მანეთით. 2. საგანგებო გასავალი რუსეთ-იაპონიის ომის დროს დანახარჯი—101.950. სახედრო უწყების — 90.112.569. რკინის გზები — 110.775.137. რკინ. გზის საზოგად. — 1.633.100. ნავთსაღურების გასაუმჯობესებლად—18,000000. ჯამი საგანგებო გასავალისა—220,622.756. სულ — 3.208.406.961. ხელი მოაწერა ფინანსთა მინისტრმა სტატს-სეკრეტ. კოკოვცევმა.

სამრევლო თუ სამინისტრო შკოლა?

მალაქიდან.

სოფელი მალაქი მდებარეობს ქუთაისიდან, დასავლეთით, სადაც გაივლის ხონში მიმავალი გზატკეცილი. სოფელი შესდგება 900 კომლისაგან და განიყოფება ორ ნაწილად ზედა მალაქად და ქვედა მალაქად. ზედა მალაქაში არის ორი ეკლესია ორგვეთ არის გამართული 1902 წლიდან სამინისტრო შკოლები. პირველი ზედა მალაქის მაცხოვრის ეკლესია გზატკეცილის პირზეა, იქვე ზემოთ უდგას სამინისტრო შკოლა, რომელიც ააშენა თავის ხარჯით იქაურმა მკვიდრმა მოვაჭრემ თომა ტყეშელაშვილმა და, რომელიც 3000 მანეთზე მეტი დაუჯდა. ეს შკოლა დღეს ორ კომპლექტიანია. მეორე სამინისტრო შკოლა არის გაშენებული ქვეით, ღვთისმშობლის ეკლესიაზე, დასავლეთით. ეს კი სოფლის საშუალებით და ცოტაოდენი მთავრობის დახმარებით არის აშენებული. ქვედა მალაქაში არის სამი ეკლესია და სამიეზე შკოლებია. პირველ მაცხოვრის ამაღლების ეკლესიაზე ორმოც წელიწადზე მეტია, რომ არსებობს, სამრევლო შკოლა. ამ შკოლის არ ელირსა წინ ფეხის წადგმა, თუმცა შეგირდები 80 ქვეით არასოდეს არ ჩამოსულია. 100 კ

ხშირად ყოფილა. მმართველი ძრიელ მონღო-მებული იყო, რომ გაეფართოებია სასწავლებელი და გადაეჭმნა ორ კომპლექტიანად, მაგრამ არ მოხერხდა და არა! მიზეზის ახსნა თვით მმართველისთვის მიგვიჩნდება. ქვედა მაღლაკის წმ. გიორ. ეკლესიის სამრევლო სკოლა გაიხსნა ადგილობრივი მღვდლის სახლში 1903 წლიდან და იარსება 1906 წლამდე 1906 წლიდან 1910 წლამდე ორჯერ დაიწყო ადგილობრივმა მღვდელმა მთავრობისაგან მოწონებულ ადგილზე საკლასო შენობა, მაგრამ ორივეჯერ მოშლილ იქნა მთავრობისაგან, თუ ხალხისაგან (არც კი შეიძლება გამოცნობა). პირველად რომ სკოლის საქმე ჩაიფუშა იმას მღვდელიც წუხდა და ხალხიც ნანობდა. ხელახალი ნებართვა გამოვიდა სკოლების მართებლობისაგან, დაიწყო კიდევ შენობა 1909 წ. აშენდა თითქმის შუამდის, მაგრამ დამთავრება არ ელირსა ძმები ჯოხაძეების მეოხებით. რადგან სკოლა მათ ეზოს ახლოს შენდებოდა. ამით იშოვეს მომხრეთ ერთი ახლად ჩამოსული კაცი, რომელსაც აღმერთებდნენ იმარეულობის და უღმრთოების დროის ხალხი, რომელმაც სხვადასხვა ხრიკებით მიიზიდა რაოდენიმე პირნი და ხალხი ორ მოწინააღმდეგე მხარეთ გაჰყო; ჯერ არ ღირდა ერთად 75 კომლიანი სოფელი და ნახევარი რაღა იქნებოდა. სძლია უსამართლობამ სამართლიანობას, გადაწყდა შენობა ხელახლა (შესამეთ) ეკლესიის გალავანში ასაშენებლათ; დაჰკრეს განგაში, დაიწყეს უზარ-მაზარი შენობა დიდებული პლანისა. საიდგან შეიძლება ასე ცოტა ხალხი იმისთანა შენობის აგებას! რას ეყოფოდათ მთავრობისაგან ბოძებული 650 მ., და ისიც წინეთ მასალაში გახარჯული. აქეთ ეცენ, იქით ეცენ, იფიქრეს და დაარღვიეს ხალხისთვის სათაყვანებელი ძველი დროის ხელოვნების ეკლესია და მიუმატეს სკოლების მასალას. დაჩაგრული ხალხი შეუერთდა ზედმიწერილ ეკლესიის შემავალ ხალხს და გამოითხოვეს სამინისტრო სკოლა. დირექტორმა საეპარქიო საბჭოსა და მეტეალყურის თანხმობით მისცა მთხოვნელებს სამინისტრო სკოლა. 1910 წ. საქმე ცოტა შეფერხდა.

აქაურმა მკვიდრმა შეიღმა, ქუთაისის მოქალაქემ, ბ. ალექსი ბეგეანის ძემ 15 წლის წინეთ აღუთქვა ხალხს სკოლის შენობა და კიდევ შეასრულა. 1911 წლის მაისის პირველიდან სექტემბრის დამლევამდის გაშენდა შვენიერი ქეთიკორის ერთსართულიანი შენობა.

გარდა ამ ორ კარგათ მოწყობილ სამინისტრო სკოლისა, სოფ. მაღლაკში არსებობს ორი სამრევლო სკოლა, ერთი უკვე დიდი ხანია მოქმედობს და გვორიანადც მიჰყავს საქმე. მან დიდი სამსახური გაუწია მაღლაკს, არ არის წერა-კითხვის მკოდნე იმისთანა პირი, არც კაცი და არც ქალი, რომელსაც პირველდასაწყისი სწავლა ხსენებულ სამრევლო სკოლაში არ მიეღოს. ეს სკოლა ისეთ ადგილზეა გაშენებული, რომ მუდამ იარსებებს, ღირსიც არის ორკლასიან სკოლად გადაკეთდეს, მაგრამ ჩვენი სამრევლო სკოლების მართველობის ხელში, იგი ამ ბედნიერებას თავის დღეში ვერ ეღირსება. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბედკრული მდგომარეობა ქვედა მაღლაკის წმ. გიორგის სამრევლო სკოლისა: აღარაფერი ეშველა ამის დამთავრებას და სწავლის დაწყებას. წელს, როგორც ვაფიგეთ, ადგილობრივ ბლოლოჩინს მ. ნასარიძეს მოსულია ბძანება, რომ ბავშვებისთვის ეგზამენი ექნა. საკვირველია ქართული ანდაზისა არ იყოს, „ჯერ არ იყო და შაქროს არქმევდნენო“, ჯერ არც შეგიძლება ყავს და არც მასწავლებელი, არც საკლასო ოთახებია დასრულებული და საიდგან მოიფიქრეს ეგზამენების დანიშვნა და რევიზორების გამოგზავნა! ესეც ერთი ნიმუში სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობისა!

ყველა იმ ადგილებზე, სადაც დღეს სამინისტრო სკოლების გაშენებული, პირველათ სამრევლო სკოლები იყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დღეს მათ მაგიერ სამინისტრო სკოლებია. რას ნიშნავს ეს გარემოება?

მაღლაკელი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ჩვენის უკაფი. (ქურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ წამად **ძმობის უკაფი** ბ. ი. კვიციანიძის ქურნალ-გაზეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალაგარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მკს. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვეცხო მკურნალისა პანტელეიმონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვილთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთასვლა ჯოჯოხეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
- 15) — ისე წილენელ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელისა.
- 18) ცოლქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრატი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაქრილისა.
- 23) ცხოვრება ალექსი ღვთის კაცისა.
- 24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი.
- 27) წამება წმ. რაედენისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რჩეული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) მესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ღამე აკლდამაში.
- 41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიფას ვაჟიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სიკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) მებაღე ფოკა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა მღმწ. ელასისა.